ტესტი ლიტერატურაში

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ლიტერატურა; II. მხატვრული ტექსტის ანალიზი.

დაკვირვებით წაიკითხეთ ყოველი დავალების პირობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ლიტერატურა

(1) 1. იაკობ ხუცესის თხზულებაში „შუშანიკის წამება“ ერთი სპარსი კაცის შესახებ ნათქვამია:

„ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსქენისითა და ზაკუვით იტყოდა ამას და უნდა მონადირებაი ნეტარისაი მის“.

სპარსის რა განზრახვა ჩანს სიტყვებში: *„უნდა მონადირებაი ნეტარისაი მის“?*

(2) **2. გაიხსენეთ იოანე საბანისძის თხზულება „აბო თბილელის წამება“:**

აბოს მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ „იყო ჟამი პირველი ღამისაი მის, გარდამოავლინა უფალმან ადგილსა მას ზედა ვარსკულავი მოტყინარეი, ვითარცა ლამპარი ცეცხლისაი“.

1. რის ნიშნად *„გარდამოავლინა“* უფალმა მოკაშკაშე ვარსკვლავი?
2. რა სასწაული იხილეს თბილისელებმა მეორე ღამეს?

(2) 3. თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ აღწერილია, თუ როგორ განიზრახეს ახალგაზრდა გრიგოლის მღვდლად კურთხევა და უთხრეს:

„– და აწ შენ გპოვა ქრისტემან უბრალოი ხელითა და წმიდაი გულითა და რაითა შენ აღხვიდე მთასა უფლისასა და დადგე ადგილსა წმიდასა მისსა...“

1. მოცემული მონაკვეთის მიხედვით, ვისი ნებაა გრიგოლის მღვდლად კურთხევა?
2. გაიხსენეთ, რა უპასუხა გრიგოლმა ახლობლებს, რომელთაც მღვდლად კურთხევა შესთავაზეს? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატით)

(6) **4. გაიხსენეთ ეპიზოდი „ვეფხისტყაოსნიდან“, რომელშიც ქაჯების მიერ ციხეში გამომწყვდეული ნესტან-დარეჯანი სწერს ტარიელს:**

1. „ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები“.

   რას ნიშნავს სიტყვა *უსტარი?*

2. ფატმანის მიმართ როგორი დამოკიდებულება ჩანს ნესტანის სიტყვებში: *„ფატმან წამგვარა გრძნეულთა, ღმერთიმცა მას ეტერების!“?*

3. რატომ არ ურჩევს ნესტანი ტარიელს ქაჯებთან შებრძოლებას?

4. რას აპირებს ნესტანი, თუ მას სხვაზე გათხოვებას დაუპირებენ?

5. რატომ მოუწოდებს ნესტანი ტარიელს, რომ მან ინდოეთს მიაშუროს?

6. რას უგზავნის ნესტანი ტარიელს წერილთან ერთად?

(2) **5. წიგნში „დავითიანი“ დავით გურამიშვილი წერს:**

„მარტო ვიყავ, არვინ მყვანდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი,
არცა მაქვნდა საიმედოდ საჭურველი სამხედრონი;
ღმერთს მივენდევ, მან ისმინა იგი ჩემი სავედრონი,
ხელმეორედ გავიპარე, რაკი ჰვპოე ჟამი, დრონი“.

1. მოცემული მონაკვეთის მიხედვით, ვისი იმედი აქვს მარტოდმარტო დარჩენილ პოეტს?
2. გაიხსენეთ, რა შედეგით დასრულდა ტყვის ხელმეორედ გაპარვა?

(2) 6. სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულში „სიბრძნე სიცრუისა“ სედრაქის შესახებ ვკითხულობთ:

„ესეთი სიტყვის სიტკბო ჰქონდა, მხეცთა კაცთა მსგავსად მოაქცევდის, ტინთა ცვილებრ დაადნობდის და მფრინველთა კაცებრ აუბნებდის“.

1. სედრაქის რომელი კონკრეტული თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?
2. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ფრაზაში: *„ტინთა ცვილებრ დაადნობდის“?*

(2) 7. გრიგოლ ორბელიანის ლექსში „საღამო გამოსალმებისა“ ვკითხულობთ:

„წახველ, წარმტაცე ყოველი საამებელი სულისა,
და ვინ განმიღოს აწ კარი ბედისა დაკარგულისა?
ან მე უგუნურს, რად მრწამდა ბედისა დაუსრულება?..“

1. რატომ მიიჩნევს ლირიკული გმირი, რომ მისი *ბედი დაკარგულია?*
2. რატომ უწოდებს ლირიკული გმირი საკუთარ თავს *„უგუნურს“?*

(2) 8. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა“ სოლომონ ლიონიძე თავის მეუღლეს, სოფიოს, ეუბნება:

„ხელმწიფეს ჰპოვებთ მამად კეთილად
და დედოფალსა დედისა ნაცვლად;
არ მოგაკლდებათ თავისუფლება,
განცხრომილება, ფუფვნეულება
მათთა სიმდიდრის პალატთა შორის!“

1. ერეკლე II-ის რა განზრახვა აქვს მხედველობაში სოლომონ ლიონიძეს, როცა სოფიოს ამ სიტყვებს ეუბნება?
2. რას უპასუხებს სოფიო თავის მეუღლეს?

(2) 9. ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილში“ ვკითხულობთ:

„განშორებია ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა...“

1. რა იგულისხმება მხატვრულ სახეში *„ცოდვის სადგურს“?*
2. რატომ შეშინდა განდეგილი, როცა სტუმარში ქალი ამოიცნო?

(2) 10. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის ლექსი „განთიადი“.

1. რომელი ცნობილი საზოგადო მოღვაწე იგულისხმება პოეტის სიტყვებში: *„რაინდსა ურჩსა მტრისასა...“?*
2. რა მხატვრული საშუალებაა:

„წინ მომეგებნენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო...“ ?

(2) 11. გაიხსენეთ ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“.

1. რა გახდა ონისეს ტრაგედიის მიზეზი?
2. რა გადაწყვეტილება მიიღო სამსჯავრომ ძიძიასთან დაკავშირებით მას შემდეგ, რაც გუგუა თემიდან მოკვეთა?

(3) 12. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „ამოდის, ნათდება“.

1. რას მიიჩნევენ თავიანთ მოკავშირედ მგლები, როცა სოფელზე თარეშს გეგმავენ?
2. რა მოიმოქმედეს ხროვის წევრებმა, როცა თავდასხმის გეგმა ჩაეშალათ?
3. რაზე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ მოთხრობის ფინალში მგლები ერთმანეთს გაურბიან?

(2) 13. გაიხსენეთ ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“.

გველებთან ცეკვის წინ ბრომლეიმ ელის შესთავაზა: *„არ ღირს ასეთ საფრთხედ... მე ისედაც წაგიყვანთ...“*

1. რატომ არ დასთანხმდა ქალი მის წინადადებას?

2. რას გვეუბნება პერსონაჟის სულიერი სამყაროს შესახებ სიტყვები: *„ელის ხომ უფრო შეეფერებოდა, რომ მისი ფერფლი სადმე ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის ახლო მიმოებნიათ!..“?*

(2) **14. გაიხსენეთ მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები“.**

1. როგორ ახასიათებს ნაწარმოებში აღწერილ ეპოქას თეიმურაზის სიტყვები:

   „პროვიზორს მატარებელი მიჰყავს, ხოლო მემანქანე აფთიაქში მუშაობს“?

2. ჯაყოს რა თვისებას გამოხატავს სიტყვები: *„გაკრავებული დათვი“?*

(2) 15. გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „მშობლიური ეფემერა“ ვკითხულობთ:

„ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს,
ის გული ისევ ჩემი გულია...
„დაკარგულია?“ – მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: „დაკარგულია!“

1. რა არის ლექსის ლირიკული გმირის წუხილის მიზეზი?
2. გალაკტიონ ტაბიძის ამ ლექსისაგან განსხვავებით, რომელი ქართველი მწერლის პოემაში ჩანს რწმენა იმისა, რომ კლდეზე მიჯაჭვული ამირანი თავის დახსნას აუცილებლად შეძლებს?

(2) **16. გაიხსენეთ გიორგი ლეონიძის ლექსი „ნინოწმინდის ღამე“.**

1. ვის ადარებს ავტორი ხაზარებს?
2. რა მხატვრული საშუალებაა:

„როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,

სიყვარული ისე დამჯახებია...“?

(2) 17. გაიხსენეთ გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „ალავერდობა“.

1. რის სურვილს აღუძრავს მთავარ გმირს ორი უმუსიკოდ დარჩენილი მოცეკვავის უაზრო როკვა?
2. ნაწარმოების ფინალში ალავერდის გუმბათზე მდგარი გურამი ფიქრობს, რომ ადამიანი ნამდვილ სიამოვნებას *„აშენებულით ტკბობაში“* არ უნდა ეძებდეს. მისი აზრით, რაშია *„ვნების სიმძაფრე“?*

(2) **18. გაიხსენეთ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.**

1. ხელმძღვანელის მიმართ კლიმის როგორი დამოკიდებულება ჩანს სიტყვებში:

   „– მისალოცი კი არა, ჰაერშია ასაგდები ოლიმპიური ჩემპიონივით...“?

2. ვასიკო კეჟერაძის აზრით, რის შემდეგ შეიძლება იყო *„ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი...“*

II. მხატვრული ტექსტის ანალიზი (30 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები ნუგზარ შატაიძის მოთხრობიდან „კაპიკი გაკაპიკებულა ანუ ევროპაში რა მინდოდა“:

გოგა ხიზამბარელი, რომელსაც მთელი სოფელი „მღვდელს“ ეძახდა, როგორც თვითონ იცოდა ხოლმე თქმა, ერთი „ნაფრონტალ-ნაპლენარი“ კაცი იყო – ომის დროს გერმანელებმა დაატყვევეს და სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქ ტულუზასთან გამართულ საკონცენტრაციო ბანაკში ჰყავდათ დამწყვდეული. საბჭოთა ტყვეებს საჭმელი აკლდათ, ხშირად ნაგავში კარტოფილის ნათალს ეძებდნენ და იმას ხარშავდნენ, რომ შიმშილით სულები არ ამოსძვრომოდათ, მაგრამ სწორედ ამის გამო მუცლის ტიფით ავადდებოდნენ და ბუზებივით იხოცებოდნენ.

ფრანგი ფერმერები თურმე გერმანელებისაგან ზოგჯერ მუშახელს ქირაობდნენ, რაშიც, ცხადია, სათანადო საფასურსაც იხდიდნენ. მოსულა ერთხელ ვიღაც კაცი და რამდენიმე ტყვე უთხოვია, თან უთქვამს – ვენახი მაქვს გასასხლავი, როგორც მითხრეს, ეს საქმე ქართველებს სცოდნიათ და ამიტომ იმათ წავიყვანო. გერმანელებსაც რა ენაღვლებოდათ, ტყვეებს შორის ათი ქართველი ამოურჩევიათ, მანქანაზე დაუსხამთ და ბადრაგის თანხლებით გაუტანებიათ.

იმ ათ კაცში მოხვედრილა გოგაც.

მიიყვანეს თურმე ერთ თვალუწვდენელ ზვარში და დაურიგეს სასხლავები. თითქმის საღამომდე ამუშავეს, მერე დასხეს ისევ მანქანაზე და ერთ ორსართულიან სახლს მიაყენეს. მასპინძლებს ბადრაგისთვის იქვე, ეზოს ფანჩატურშივე გაუშლიათ კარგი პურმარილი საუკეთესო ძეხვეულით, ლორით და ლუდით. ტყვეები კი სათანადო ნებართვის შემდეგ, შინ შეუყვანიათ.

დახვდათ აქ ამ დაქიმითებულ ბიჭებს ისეთი სუფრა, რომ ჩიტის რძეც კი არ აკლია: ნიგვზიანი ფხლები და ამოლესილი ლობიო, მჭადი, ორ-სამნაირი ყველი და ცივად მოხარშული დედლები, კუჭმაჭი და საუკეთესო თევზეული, მოხარშული

ბურვაკისა და ციკნის ხორცი, ნიორწყალში ჩალაგებული შემწვარი წიწილები და, რაც მთავარია, სულ თონეში გამომცხვარი, გამტკიცებული დედას პურები და ლავაშები.

დგანან თურმე გაოგნებულები, ასეთი ზღაპრული სიუხვით თავზარდაცემულები და თავი სიზმარში ჰგონიათ. ფრანგი მსახურები სულ თვალებში შესციცინებენ, თავაზიანად უღიმიან – დაბრძანდით, მიირთვით, თავი ისე იგულვეთ, როგორც საკუთარ სახლებშიო!

მართლაც დასხდნენ და შეუდგნენ ჭამას. მსახურებმა კარგი წითელი ღვინო მიართვეს, თითო ჭიქა რომ დალიეს და დანაყრებულებმა თვალებიდან რომ გამოიხედეს, სწორედ ამ დროს გაიღო კარი, ოთახში ერთი ვიღაც დარბაისელი კაცი შემოვიდა და სტუმრებს ქართულად მიესალმა – მშვიდობა თქვენს მოსვლასო!

ფეხზე წამოიშალნენ და მასპინძელს დაბნეულები მიაჩერდნენ.

– დასხედით, დასხედითო! – თქვა მან, თვითონ სუფრის თავში დაჯდა და მსახურმა რომ ღვინო დაუსხა, სასმისი ხელში აიღო, – გაგიმარჯოთ, ამ გაჭირვებისთვის გაგეძლოთ, ღმერთმა სამშობლო გაჩვენოთო! – და ცოტა მოსვა.

ტყვეები პირაკრულები სხედან, აღარც ჭამენ და აღარც სვამენ, მასპინძელს უხმოდ მიშტერებიან.

– რა იყო, კაცო, რა გაკვირვებულები მიყურებთო, – გაეცინა იმას, – განა უცხო ვარ, მეც თქვენსავით ქართველი ვარ, ჩემი მხრის ხალხი მომენატრა და აქ იმიტომ მოგიყვანეთო.

მერე ჩამოჰყვა და ყველას სათითაოდ გამოჰკითხა – ვინა ხართ, სადაურები ხართო.

ზოგმა ეს უთხრა, ზოგმა – ის, ბოლოს გოგას ჯერიც დადგა:

– ნოსტელი ვარ, კასპის რაიონიდანო...

– რა გვარიო.

– ხიზამბარელიო.

– მამაშენს რა ჰქვიანო.

– ილაო.

– გოგა ხარ, ბიჭო?!

– გოგა ვარო?! – გაჰკვირვებია მღვდელს.

– კაცო... მე გორგიჯანიძე ვარ, შენი ნათლიაო!

გადაეხვივნენ თურმე ერთმანეთს.

ეს გორგიჯანიძე 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ საფრანგეთში გამოქცეულა. აქ შოფრობა უსწავლია, ერთხანს მარსელში ტაქსის მძღოლად უმუშავია, მერე ფრანგის ქალი შეურთავს და ტულუზაში დასახლებულა. შეძლებული კაცი იყო, დიდი მამულებისა და ზვრების პატრონი. საკონცენტრაციო ბანაკში ვიღაცას დიდი ქრთამი მისცა და ნათლული სამზარეულოში გადააყვანინა. გერმანელებმა რომ კუდი ამოიძუეს და ტყვეები ბედის ანაბარა დაყარეს, იმათგან ზოგი სამშობლოში დაბრუნდა, ზოგმა კიდევ ამერიკაში გამგზავრება გადაწყვიტა.

სამშობლო გოგასაც მონატრებოდა და იწევდა, მეც უნდა წავიდეო, მაგრამ გორგიჯანიძეს დაუშლია – სტალინი ტყვედ ყოფნას არავის აპატიებს და ყველას დახვრეტსო.

– მაშინ ავდგები და ჩემს ამხანაგებს ამერიკაში მეც გავყვებიო!

– ამერიკაში რაღა გინდა, ბიჭო, ფლავს კი არ არიგებენ იქაო! აბა, ყური დამიგდე, რა გითხრაო: მე ხო მიყურებ, შვილო, რო ჩემი წილი ქვაცა მაქვს და კაკალიც, მაგრამ ქალი ბერწი გამომადგა, შვილი არ გაუჩნდა და ეს ამოდენი ქონება რაღა ვიღაც ოხერსა და მამაძაღლს დარჩეს, მოდი, გიშვილებ, ამ სიბერეში გვერდით დამიდექი და ყველაფერს შენ დაგიტოვებო.

გორგიჯანიძემ პირობა შეასრულა – ნათლული შვილად აიყვანა და ანდერძი დაწერა, რომლითაც მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას მას უტოვებდა. მაგრამ ატყობდა, რომ გოგას მაინც სამშობლოსკენ ებრიცებოდა თვალები. ამიტომ ასეთი რამე მოიფიქრა: ერთი კარგი ძმაკაცი ჰყავდა, ჟან ლეფოღი, რესტორნების პატრონი, ტულუზაში იმისთანა მდიდარი კაცი მეორე არ დადიოდა, მაგრამ ერთადერთი ქალიშვილის მეტი არავინ ებადა.

სწორედ იმ ლეფოღს შეუჩნდა:

– კაცო, ხო უყურებ, რო დავბერდით, ორ-ორი პარასკევიღა დაგვრჩენია, მოდი, შენი გოგო და ჩემი შვილობილი შევაუღლოთ და ჩვენ რო აღარ ვიქნებით, რა გინდა, ორთავეს ქონება ერთ ოჯახში დარჩებათო.

ლეფოღს გორგიჯანიძის ნათქვამი ჭკუაში უჯდებოდა, მაგრამ თავი მაინც შორს ეჭირა, ალბათ, ფიქრობდა, ეს ერთადერთი შვილი ამ ვიღაც გადამთიელს ხელში როგორ ჩავუგდოო.

ყოყმანი რომ შეატყო, გორგიჯანიძემ ლეფოღს მეორე ფრონტი გაუხსნა – შვილობილი მის ქალიშვილზე, თვრამეტი წლის ნიკოლზე დაგეშა და, მართლაც, ასეთმა სტრატეგიამ ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა – ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ გოგამ მამობილს ფრანგული ციხესიმაგრის გასაღები ჩააბარა. ჟან ლეფოღმა უკანასკნელად გაიბრძოლა – მაშინ ჩემთან უნდა იცხოვრონო და რაღას იზამდა, გოგაც იმათსა გადაბარგდა.

ომი ახალი დამთავრებული იყო, ცხოვრება ნელ-ნელა იწყებდა გამოცოცხლებას. გოგა ფრანგულს სწავლობდა, ენას იტეხდა. დადიოდნენ სინემაში, კაფეებსა და საცეკვაო მოედნებზე. ნიკოლი მას თავის მეგობრებს აცნობდა და ისიც თანდათანობით ეჩვეოდა ახალ ცხოვრებას.

თაფლობის თვე მალე მიილია და ერთ დღესაც ლეფოღმა სიძე კანტორაში დაიბარა – აბა, რა იცი, რა ხელობის კაცი ხარო!

რა უნდა სცოდნოდა, ერთი ტლუ ბიჭი იყო, სოფელში ბარისა და თოხის მეტი რა უნდა ესწავლა, მაგრამ გაახსენდა, რომ ბოლო დროს საკონცენტრაციო ბანაკში მზარეულს ეხმარებოდა და უპასუხა – ხორცის დაჭრა მეხერხებაო.

ძალიან კარგიო, – ლეფოღმა, – კარგი ხელობა გცოდნიაო და თავის ერთ-ერთ რესტორანში მზარეულის თანაშემწედ გაამწესა. გავიდა ხანი და სულ მალე ისეთი მარიფათი გამოიჩინა, ისეთი გემრიელი კერძების დამზადება ისწავლა, რომ სიმამრმა წლის თავზე მზარეულად დააწინაურა.

ერთხელაც, სამზარეულოში რომ საქმიანობდა, რესტორნის დარბაზიდან ქართული სიმღერა შემოესმა, გაიხედა და თავისი ამხანაგები დაინახა, რომლებიც ამერიკიდან ჩამობრუნებულიყვნენ. გახარებულმა ბიჭებს სულ სათავითაო საჭმელ-სასმელი

მიართვა, თვითონაც გვერდით მიუჯდა და „გაფრინდი, შავო მერცხალო“ წამოიწყო. სუფრასთან ვიღაც ხნიერი კაცი იჯდა, რომელიც გოგას შუბლშეკრული მისჩერებოდა და როცა სიმღერა დაამთავრა, ჰკითხა:

– სიმღერა კარგი გცოდნია, მაგრამ ეს ქართველი კაცი აქ რას აკეთებო?

– ცოლი შევირთე, ოჯახი შევქმენიო...

– მერე, შე კაი კაცო, დედაშენი დღე და ღამ შენს გზას გამოსცქერის და რა გაძლებინებს აქაო!

გოგამ ამხანაგებს გადახედა.

– ხო, ეგრეაო, ჩვენ დილაზე მივდივართო... – უთხრეს იმათაც.

აუჩქროლდა საწყალს გული, თან ის კაციც ცეცხლზე ნავთს უსხამდა:

– აბა, ჩემო გიორგი, იქ შენი სამშობლო გელოდებაო, ადექი და წამოდი, რას შესცქერი ამათ ხელებშიო!

დილაბნელზე გოგა ცოლს ლოგინიდან გამოუძვრა, ტანისამოსი იღლიაში ამოიჩარა, გარეთ გამოიტანა და იქ ჩაიცვა. მერე ვაგზალში გავიდა, მატარებელში ჩაჯდა და ამხანაგებთან ერთად სამშობლოსკენ გამოსწია. აქ, რა თქმა უნდა, დაიჭირეს და გააციმბირეს, მაგრამ გზიდან გაიქცა და ექვს წელიწადს გროზნოში იმალებოდა. საქართველოში სტალინის სიკვდილის მერეღა ჩამოვიდა.

სიბერეში კარებწინ გამართულ სკამზე იჯდა ხოლმე და დარდობდა – რა ვუთხრა, რა პასუხი გავცე გორგიჯანიძეს საიქიოშიო.

ყურადღებით წაიკითხეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „შინდისის ჭადრებს“:

ორო ჭადარო, წყვილო ჭადარო,
შემოხვეულნო შუქთა ბადრებით,
ო, მე არ ვიცი, რას შეგადაროთ,
ან უცხოეთში რად მენატრებით?

კვლავ გახვევიათ ოქროს ზეწარი
და შემოდგომის მკრთალი ბლონდები?
მე, უთვისტომო და გარეწარი,
თქვენ გაგიხსენებთ და დავღონდები.

თქვენთან რბიოდნენ ნათელნი დღენი,
ლოცვა ბავშური, ფერი გედური,
ეხლა რად მესმის შრიალი თქვენი,
როგორც ტირილი და საყვედური?

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტები მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტების პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა *არ აღემატება 120 სიტყვას,* ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ნუგზარ შატაიძის ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტების მსგავსება-განსხვავების შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებენ ავტორები).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!